

საპატრიარქოს განცხადებას "ქართულ ოცნებაში" ყველა არ ეთანხმება



პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე სოფიო კვიციანი ნარკოპოლიტიკის საკითხს ეხმიანება და აღნიშნავს, რომ ინიცირებულ საკანონმდებლო პაკეტში

არის საკითხები, რომლებიც როგორც საპატრიარქოსთვის, ასევე უმრავლესობის ბევრი წარმომადგენლისთვის მიუღებელია.

„რა თქმა უნდა, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია საპატრიარქოს და თავად პატრიარქის პოზიცია. როგორც ჩვენი გუნდის არაერთმა დიდებულმა განაცხადა, მათ განცხადებას აუცილებლად ყურადღებით მოგვეკიდებით. მაქსიმალურად შევეცდებით, რომ ისეთი ნარკოპოლიტიკა შევიმუშაოთ, რომელიც საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის ინტერესებს შეძლებისდაგვარად გაითვალისწინებს, იქნება დაბადანსებური და მოემსახურება ერთი მხრივ, ნარკოლამოკიდებური პირების შემცირებას, ხოლო მეორე მხრივ, დაცური იქნება ადამიანის უფლებები. ეს არის ძალიან რთული პროცესი. რთულია კონსენსუსის მიღწევა, მაგრამ მგონია, რომ ეს კონსენსუსი არის შესაძლებელი“, – განაცხადა სოფიო კვიციანი.

თუმცა მმართველ გუნდში ამ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არაერთგვაროვანია. საპატრიარქოს განცხადება “ქართულ ოცნებაში” ყველა როდი ეთანხმება. დეპუტატთა ნაწილს მიაჩნია, რომ საპატრიარქოს მხრიდან საკანონმდებლო პროცესში ჩარევა მიუღებელია.

„როგორც პარლამენტის წევრი, კატეგორიულად ვემიჯნები პარლამენტის გარედან მართურ ნებისმიერ პროცესს, არასამთავრობოებიდან იქნება და მათი დიქტატით გაკეთებულ საკანონმდებლო საქმიანობას ან პირიქით რაიმე სხვა სფეროდან. მიმაჩნია, რომ საკანონმდებლო საქმიანობა ჩვენი კომპეტენციაა. პირველ რიგში, მაინტერესებს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით იყოს თანხმობა უმრავლესობაში“ – აღნიშნავს კობა ნარჩემაშვილი.

უმრავლესობის დეპუტატი დიმიტრი ხუნდაძე ამბობს, რომ ნარკორიბერადიზაცია გაზრდის ნარკომომხმარებლების რაოდენობას და ამავედროულად კრიმინალს ქვეყანაში.

„კანონპროექტის ამ ფორმით მიღების შემთხვევაში არის მაღალი რისკი, რომ ქვეყანაში არა თუ შემცირდეს ნარკოტიკების მოხმარება, არამედ პირიქით, უფრო გაიზარდოს და გაიზარდოს მასთან ერთად ქვეყანაში კრიმინალი. ამიტომ, მე ვფიქრობ, მინიმუმ ეს კანონპროექტი უნდა იქნას შეთანხმებული და მხოლოდ მას შემდეგ იქნას განხილული. თუკი შეთანხმება პრინციპულ საკითხებთან დაკავშირებით ვერ იქნა მიღწეული, რა თქმა უნდა, ამ კანონპროექტს პერსპექტივა არ ექნება. მე ვფიქრობ, ეს არის სწორი, რომ საპატრიარქო მოუწოდებს ამ ტიპის, ამ მასშტაბის კანონპროექტები იქნას განხილული უფრო ფართო საზოგადოებაში“ – განაცხადა დიმიტრი ხუნდაძემ.

საქართველოს საპატრიარქო ნარკოპოლიტიკის რიბერადიზაციასთან დაკავშირებით პარლამენტში ინიცირებული საკანონმდებლო პაკეტის განხილვის შეჩერებას ითხოვს.

“საჭიროდ მიგვაჩნია, მოეწიყოს აღნიშნული თემის ფართო, საზოგადოებრივი განხილვა ხეღისუფართა, ფსიქოლოგების, ექიმების, იურისტების, სასულიერო პირთა, ადამიანის უფლებადამცველების, ჟურნალისტების, პედაგოგთა, საერთოდ ინტელიგენციის, სამართადრდამცავთა და სხვათა ჩართულობით, რათა ნარქარეგმა გადაწყვეტილებებმა ქვეყანა დიდი განსაცდელის წინაშე არ დააყენოს” - ნათქვამია საქართველოს საპატრიარქოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.